ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 257

„22“ დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ლევან რაზიკაშვილის ქუჩასთან მდებარე ქუჩისთვის, მასთან არსებული I შესახვევისთვის, I და II ჩიხებისთვის ნუგზარ საჯაიას სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის „პ“ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ლევან რაზიკაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ I შესახვევს, I და II ჩიხებს მიენიჭოს ნუგზარ საჯაიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X_492796.5244
Y_4613605.2198
X_492474.5039
Y_4613600.6255
I-შესახვევი
X_492571.788
Y_4613474.1753
ნუგზარ საჯაიას ქუჩა
X_492551.3191
Y_4613328.3019
X_492528.0257
Y_4613309.7548
I-ჩიხი
II-ჩიხი
X_492601.4312
Y_4613265.0259
X_492581.4985
Y_4613249.7442
X_492495.8617
Y_4613147.1645